საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2124
31/05/2022

2124-21-2-202205311040

შპს „აკვაპოინტს“

მის: თბილისი, ვაკის რ-ნი,

შალვა ნუცუბიძის ფერდობი II მ/რ, II კვ, № 2ა, ბ.4,

ელ.ფოსტა: z.samsonidze@gmail.com

ასლი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას

2022 წლის 26 აპრილს შპს „აკვაპოინტის“ მიერ წარმოდგენილ იქნა - ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ხოფურზე 5.22 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ხოფური 1 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რასთან დაკავშირებითაც 2022 წლის 23 მაისს 14:00 საათზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოფურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში ჩაინიშნა საჯარო განხილვა.

2022 წლის 23 მაისს ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოფურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობასთან შეკრებილმა მოსახლეობამ უარი განაცხადა შენობაში შესვლაზე და საჯარო განხილვაზე დასწრებაზე, მიზეზად კი პროექტის განხორციელების კატეგორიული წინააღმდეგობა დაფიქსირდა. სააგენტოს წარმომადგენელმა სცადა განხილვის პროცესი ადმინისტრაციული ერთეულის შენობის მიმდებარედ წარემართა და მოუწოდა მოსახლეობას ჩართულიყვნენ აღნიშნულ პროცესში, თუმცა მოწოდებას შედეგი არ გამოუღია. მოსახლეობა მკაფიოდ აფიქსირებდა, რომ არ სურდათ სოფლის მიმდებარედ აღნიშნული პროექტის განხორციელება და შესაბამისად საჯარო განხილვაში მონაწილეობა. **ვინაიდან, შექმნილ ვითარებაში შეუძლებელი იყო კანონმდებლობის დადგენილი წესით საჯარო განხილვის წარმართვა, სააგენტოს თანამშრომელმა ჩაშლილად გამოაცხადა საჯარო განხილვა.**

შექმნილი ვითარებისა და ჩაშლილი საჯარო განხილვის გათვალიწინებით გაცნობებთ, რომ სააგენტო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას პროექტთან დაკავშირებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენამდე, **სადაც უნდა აისახოს პროექტთან**

დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია.

ამასთან, მნიშვნელოვანია განახლებულ სკოპინგის ანგარიშში ყურადღება გამახვილდეს პროექტის განხორციელებით სოციალურ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი საპროექტო არეალის მთლიანი 87138 კვ.მ ფართობიდან (Shp ფაილი) 67410 კვ.მ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' შესაბამისად თუ დაგეგმილი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება და ტყის სტატუსის შეწყვეტას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებას საჭიროებს, საქმიანობის განმახორციელებელმა სკოპინგის ანგარიშს უნდა დაურთოს ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ;

- სკოპინგის ანგარიშის ჰიდროლოგიური ნაწილი მოითხოვს საფუძვლიან სტილისტურ და შინაარსობრივ რედაქტირებას. მათ შორის: ეკოლოგიური ხარჯის გამოსათვლელი მეთოდი მოითხოვს განმარტებას/დაზუსტებას - სადაა ის დანერგილი/აპრობირებული, რას ნიშნავს 20 %-იანი მარაგი; რა მიზნით არის მოყვანილი გამოსახულება - Pf = P – E – T – L (გვ. 85); რას ნიშნავს „მთავარი ხარჯი“ (გვ. 86); რას ნიშნავს -„ცაგერის მეტეოროლოგიური სადგური მდებარეობს გაზომილი წყალშემკრები აუზის ბოლოში“ (გვ. 86) და ა.შ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო